№ 42681

Date 05.02.2021

RMG GOLD

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ბატონო / ქალბატონო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „RMG Gold"-ი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 21 სექტემბრის N2-836 ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს კვარციტული მადნებისა და ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გადამუშავებას (გროვული გამოტუტვის მეთოდით ოქროს ამოკრეფა). აღსანიშნავია, რომ კვარციტული მადნის გადამუშავება გროვული გამოტუტვის მეთოდით 1996 წლიდან მიმდინარეობს, ხოლო ბარიტის მადნის გადამუშავება იგივე მეთოდით 2017 წლიდან დაიწყო. შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა არ არის არსებითად ახალი საქმიანობა და საწარმოს ტერიტორიაზე გროვული გამოტუტვის მეთოდით სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება მრავალწლიან პრაქტიკას წარმოადგენს.

დღეისათვის, საწარმოში დასაწყობებული კვარციტული მადნები ამოწურულია, აქედან გამომდინარე, საწარმოს ტერიტორიაზე, დაიგეგმა გამოტუტული კვარციტული მადნების გადაბრუნება და განმეორებით გამოტუტვა, ასევე, საწარმოს პერიმეტრში ბარიტის კუდების გადამუშავების მოედნის ადგილმონაცვლეობაც.

დაგეგმილ საქმიანობაზე, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის N2-1237 ბრძანების შესაბამისად გაცემულია N97; 08.12.2020 სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-10 მუხლისა და ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „RMG Gold"-ის კვარციტული მადნებისა და ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გადამუშავების (გროვული გამოტუტვის მეთოდით ოქროს ამოკრეფა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

დანართი:

№ 1667
08 02 2021

1. შპს „RMG Gold"-ის კვარციტული მადნებისა და ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გადამუშავების (გროვული გამოტუტვის მეთოდით ოქროს ამოკრეფა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გზშ-ის ანგარიში - 2 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია (1 CD);

შპს RMG Gold, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
LLC RMG Gold, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;
ელ-ფოსტა: info@richmetalsgroup.com; ვებ-გვერდი: www.richmetalsgroup.com
Email: info@richmetalsgroup.com; Web-page: www.richmetalsgroup.com

2. ზემოაღნიშნული საქმიანობის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია (1 CD);

3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია (1 CD);

4. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და 1-3 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ელ ვერსია - 1 CD;

5. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;

6. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

პატივისცემით,

შპს „RMG Gold"-ის

აღმასრულებელი დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

RMG Gold LLC, GEORGIA
RMG GOLD
* 225359947 *